

შპს მედ პროჯექტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სხვა მიმდინარე აქტივები	12
7. ძირითადი საშუალებები	12
8. ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	14
9. საკუთარი კაპიტალი.....	14
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22 (გადაანგარიშებული)	31-12-21 (გადაანგარიშებული)
ფული და ფულის ექვივალენტები	4	45,412	339,221	425,257
სავაჭრო მოთხოვნები	5	127,369	169,224	815,595
მარაგები		57,149	117,223	62,831
გაცემული ავანსები		17,248	11,361	5,666
სხვა მიმდინარე აქტივები	6	195,000	227,095	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		442,178	864,124	1,309,349
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	640,536	788,883	940,114
არამატერიალური აქტივები		157	360	564
ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	8	327,154	311,036	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		967,847	1,100,279	940,678
სულ აქტივები		1,410,025	1,964,403	2,250,027
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		28,051	25,909	70,406
მოკლევადიანი სესხები		24,205	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		732	1,344	25,432
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		52,988	27,253	95,838
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,016,037	1,596,150	1,813,189
სულ საკუთარი კაპიტალი	9	1,357,037	1,937,150	2,154,189
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,410,025	1,964,403	2,250,027

დირექტორი



ალექსი ჩინჩალაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	10	235,913	833,873
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(44,262)	(222,452)
საერთო მოგება		191,651	611,421
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(84,140)	(186,580)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(113,721)	(270,238)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(114,075)	(124,549)
სხვა შემოსავლები		-	81,636
კომპანიის წილი ზარალი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	8	(30,223)	(2,660)
სხვა ხარჯები		(120,434)	(66)
მოგება/(ზარალი) პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(270,942)	108,964
საპროცენტო შემოსავალი		-	9,156
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(9,649)	(86,998)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(280,591)	31,122
მოგების გადასახადი		(44,928)	(37,326)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(325,519)	(6,204)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		341,000	1,813,189	2,154,189
წმინდა ზარალი		-	(6,204)	(6,204)
დივიდენდის გატანა	9	-	(210,835)	(210,835)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	9	341,000	1,596,150	1,937,150
წმინდა ზარალი		-	(325,519)	(325,519)
დივიდენდის გატანა	9	-	(254,594)	(254,594)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	9	341,000	1,016,037	1,357,037

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მედ პროჯექტ დაფუძნდა 2011 წელს. კომპანიის მისამართია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N107, ბ18. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400028233

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: გიორგი კვირიკაძე (პ/ნ 01008013283) – 27%, ზვიად კვირიკაძე (პ/ნ 01008011931) – 10%, თეიმურაზ არონია (პ/ნ 65002012439) – 10.53%, მირიან ჭეიშვილი (53001013279) – 10.53%, ნათელა ცირამუა (პ/ნ 01015018378) – 21.5% და ნანა ზუროშვილი (01033004882) – 20.44%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამედიცინო ჟანგბადით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: ალექსი ჩინჩალაძე (პ/ნ 01006005969).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
			(გადაანგარიშებული)	(გადაანგარიშებული)
ფული და ფულის ექვივალენტები	4	338,768	375,929	109,455
სავაჭრო მოთხოვნები	5	169,223	815,595	880,006
მარაგები		119,931	69,684	60,355
სხვა მიმდინარე აქტივები	6	231,139	2,668	4,240
სულ მოკლევადიანი აქტივები		859,061	1,263,876	1,054,056
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	797,904	950,171	977,082
არამატერიალური აქტივები		360	564	768
ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	8	313,046	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,111,310	950,735	977,850
სულ აქტივები		1,970,371	2,214,611	2,031,906
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		3,147	69,947	106,337
მოკლევადიანი სესხები		-	-	108,472
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	11,103	4,661
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,147	81,050	219,470
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,626,224	1,792,561	1,471,436
სულ საკუთარი კაპიტალი	9	1,967,224	2,133,561	1,812,436
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,970,371	2,214,611	2,031,906

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

		2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	10	816,500	2,991,070
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(214,838)	(913,109)
საერთო მოგება		601,662	2,077,961
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(190,178)	(369,897)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(270,238)	(473,924)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(128,745)	(132,385)
სხვა შემოსავლები		108,165	154,475
სხვა ხარჯები		(716)	(224,538)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		119,950	1,031,692
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	(5,422)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(38,123)	(1,725)
მოგება დაბეგვრამდე		81,827	1,024,545
მოგების გადასახადი		(37,326)	(70,310)
წმინდა მოგება		44,501	954,235

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		341,000	1,471,436	1,812,436
წმინდა მოგება		-	954,235	954,235
დივიდენდის გატანა	9	-	(633,110)	(633,110)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	9	341,000	1,792,561	2,133,561
წმინდა მოგება		-	44,501	44,501
დივიდენდის გატანა	9	-	(210,838)	(210,838)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	9	341,000	1,626,224	1,967,224

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა

მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

3.5 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში

ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება წილობრივი მეთოდით, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

3.6 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.7 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.8 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45,192	69,884
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	220	269,337
სულ	45,412	339,221

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიმართ. მათ შორისაა 50-ზე მეტი ქართული ჰოსპიტალი.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-23	31-12-22
მოთხოვნები	134,634	177,984
გაუფასურების რეზერვი	(7,265)	(8,760)
წმინდა მოთხოვნები	127,369	169,224

6. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, რომელიც კომპანიამ გასცა დაკავშირებულ მხარეზე.

სხვა მიმდინარე აქტივები	31-12-23	31-12-22
გაცემული სესხები	195,000	220,000
სხვა აქტივები	-	7,095
სულ	195,000	227,095

7. ძირითადი საშუალებები

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია/ ჩამოწერა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	85,000	-	-	85,000
შენობა ნაგებობები	578,079	-	-	578,079
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	800,600	73,324	(325,742)	548,182
სატრანსპორტო საშუალებები	213,624	-	-	213,624
სხვა ძირითადი საშუალებები	114,253	14,491	(708)	128,036
სულ	1,810,021	87,815	(326,450)	1,571,386

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია/ ჩამოწერა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	147,319	38,539	-	185,858
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	652,696	57,330	(204,160)	505,866
სატრანსპორტო საშუალებები	170,124	11,616	-	181,740
სხვა ძირითადი საშუალებები	32,534	6,387	-	38,921
სულ	1,021,138	113,872	(204,160)	930,850

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	85,000	-	-	85,000
შენობა ნაგებობები	578,079	-	-	578,079
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	795,470	5,130	-	800,600
სატრანსპორტო საშუალებები	213,624	-	-	213,624
სხვა ძირითადი საშუალებები	186,601	-	(72,348)	114,253
სულ	1,877,239	5,130	(72,348)	1,810,021

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	108,780	38,539	-	147,319
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	589,326	63,370	-	652,696
სატრანსპორტო საშუალებები	191,977	18,080	(39,933)	170,124
სხვა ძირითადი საშუალებები	28,577	4,357	(400)	32,534
სულ	937,125	124,346	(40,333)	1,021,138

8. ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში

კომპანიას გააჩნია ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს შპს ბაობაბი-ში (ს/კ 400347344) 50% წილს, დარჩენილი 50%-იანი წილის მფლობელი არის შპს ბესტ სერვის (02697583 /სომხეთი/)

ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	-
ინვესტიცია	313,696
კომპანიის წილი ზარალი ერთობლივ საწარმოში	(2,660)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	311,036
ინვესტიცია	46,341
კომპანიის წილი ზარალი ერთობლივ საწარმოში	(30,223)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	327,154

9. საკუთარი კაპიტალი

2023 წელს განხორციელდა დივიდენდის გატანა 254,594 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წელს 210,835 ლარის ოდენობით.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო ჟანგბადის წარმოება, რომლის რეალიზაციაც, ძირითადად, ხდება საქართველოში მოღვაწე ჰოსპიტლებსა და კლინიკებზე. 2023 და 2022 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი	235,913	833,873
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საიდანაც:	(44,262)	(222,452)
შემენილი მზა მასალები	(42,685)	(196,924)
წარმოების პროცესის შედეგად მიღებული მარაგები	(1,577)	(25,528)
საერთო მოგება	191,651	611,421

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
საწვავის ხარჯი	30,948	68,509
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	10,668	26,695
ქონების გადასახადის ხარჯი	9,952	-
ბუღალტერია და სხვა საკონსულტაციო ხარჯი	9,675	22,539
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	8,328	11,316
რემონტის ხარჯი	5,013	8,492
საკონსულტაციო ხარჯი	5,000	-
დაზღვევის ხარჯი	4,188	8,990
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	31,880
სხვა	368	8,159
სულ	84,140	186,580

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	33,459	142,082
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	80,262	128,156
სულ	113,721	270,238

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

13.1 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 33,459 ლარი, ხოლო 2022 წელს 142,082 ლარი.

13.2 დივიდენდის გაცემა

2023 წელს განხორციელდა დივიდენდის გატანა 254,594 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წელს 210,835 ლარის ოდენობით.

13.3 მოთხოვნები გაცემულ სესხებზე

2023 წლის ბოლოს კომპანიას დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ჰქონდა სესხები 195,000 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის ბოლოს 220,000 ლარის ოდენობით.

13.4 მიღებული სესხები

2023 წელს კომპანიამ დამფუძნებლისგან სესხი 49,706 ლარის ოდენობით, რომლის ნაწილიც გადაიხადა წლის განმავლობაში და 2023 წლის ბოლოს სესხის ნაშთი შეადგენდა 24,205 ლარს.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.